მულტიკულტურალიზმი და ინტერკულტურალიზმი როგორც საზოგადოებრივი ღირებულებებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ბაზისი

DOI - 10.36962/ecs105/9-10/2022-08

ელენე ბრეგვაძე
სტუ დოქტორანტი
E-mail: elene1981@yahoo.com

რეზიუმე

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის ეფექტიანობის კვლევაში გაზიარებულია მულტიკულტურალიზმის პოზიციიდან ინტერკულტურალიზმის პოზიციებზე გადასვლის აუცილებლობა.

ნაშრომის მიზანია მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის იდეათა განხილვა, რასაც ეფუძნება იდენტობის ჩამოყალიბება ერთიანი პოლიტიკური სივრცის (სახელმწიფოს, რეგიონის ან ქალაქის) საზღვრებში. სამოქალაქო თვითორგანიზაციის სფეროს გაფართოება და განვითარება მიჩნეულია კულტურული მრავალფეროვნების მართვის სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკის ძირითად მახასიათებლებად, რომლებმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. თავდაპირველად, ყველა ეს ტენდენცია ვლინდებოდა მხოლოდ მულტიკულტურალიზმის პარადიგმის საზღვრებში, რაც შემდგომში მეცნიერმა დანიელ ონილმა გააკრიტიკა. კვლევაში აქცენტირებულია შედეგებზე დაფუძნებული მართვის კონცეფცია, რომელიც იძლევა ახალ პერსპექტივას პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის სფეროში და ასევე არის განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი

სტრუქტურების მოქმედების საფუძველი.

ინტერკულტურალიზმის იდეებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს გადასვლას ეკონომიკური ინსტრუმენტების პრიორიტეტებიდან სოციალურ ღირებულებათა ინსტრუმენტების პრიორიტეტებზე, რაც ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიური განვითარების პროცესში უზრუნველყოფს არა უმცირესობათა ეკონომიკურ სუბსიდირებას სხვადასხვა ქვოტების მიკუთვნების ჩათვლით, არამედ ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან მიახლოვების ხელშეწყობას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უმცირესობებისა და უმრავლესობის წევრებს შორის არსებული საერთო ფასეულობების განვითარებისა და მახარდაჭერის პოლიტიკის რეალიზაცია შეარბილებს ეკონომიკურ ინტერესთა შორის კონფლიქტებს.

საკვანძო სიტყვები: მულტიკულტურალიზმი, ინტერკულტურალიზმი, უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები.

შესავალი

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკის ეფექტიანობის კვლევაში ჩვენ ვიზიარებთ და ვეფუძნებით მულტიკულტურალიზმის პოზიციიდან ინტერკულტურალიზმის პოზიციებზე გადასვლას. ამასთან დაკავშირებით გვსურს განვმარტოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. მეცნიერი როლანდ ინგლეჰარტი თავის ცნობილ წიგნში „ჩუმი რევოლუცია“ (Ronald Inglehart 1977). ამტკიცებს, რომ XX-ე საუკუნის სამოციანი წლების მძვინვარე აქტივობისა და სამოცდაათიანი წლების ერთი შეხედვით სიმშვიდის მიღმა იდგა „ჩუმი რევოლუცია“, რომელმაც თანდათან, მაგრამ ძირეულად შეცვალა პოლიტიკური ცხოვრება დასავლურ სამყაროში. რონალდ ინგლეჰარტი ყურადღებას ამახვილებს ამ რევოლუციის ორ ასპექტზე:

1. გადანაცვლება სიმდიდრესა და ფიზიკურ უსაფრთხოებაზე არსებული ორიენტირების უპირატესობიდან ცხოვრების ხარისხზე უფრო დიდ ზრუნვაზე; და 2. დასავლური საზოგა-

დოების პოლიტიკური უნარების ზრდა, რაც საზოგადოების წევრებს (მოქალაქეებს) საშუალებას აძლევს, მეტი როლი ითამაშონ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში.(1)

კულტურული მრავალფეროვნების მართვა არის სახელმწიფო პოლიტიკის ფუნქცია, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურ-კულტურული ურთიერთობების კოორდინაციასა და ღონისძიებების პრაქტიკულ რეალიზაციას. მისი მნიშვნელოვანი მიზანია უზრუნველყოს ადამიანების მშვიდობიანი და ორმხრივად მისაღები თანაცხოვრება კულტურული მახასიათებლების განსხვავებული აღქმით (ეთნიკური, რელიგიური, რეგიონული და შიდაკულტურული, რასობრივი და ა.შ.). ძირითად მიზანს წარმოადგენს იდენტობის ჩამოყალიბების პრობლემის გაანალიზება ერთიანი პოლიტიკური სივრცის (სახელმწიფოს, რეგიონის ან ქალაქის) საზღვრებში. აღნიშნული მიზნების მიღწევის პროცესი და მასში გამოყენებული ინსტრუმენტები ეფუძნება მულტიკულტურალიზმის სოციალურ პარადიგმას.

კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს: ისტორიული და ლოგიკური ანალიზის, აგრეთვე შედარებისა და დედუქციის მეთოდები.

ძირითადი ტექსტი

მულტიკულტურალიზმის იდეის ანალიზი. „მულტიკულტურალიზმი“ როგორც პოლიტიკური პროექტი გამოჩნდა 1950-1970-იან წლებში. ამ პერიოდში დაიწყო მოდელის პოლიტიკური განხორციელების ადრეული ფორმების განვითარება. შესაძლოა, პირველი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელმაც ეს იდეა შემოიტანა მე-20 საუკუნეში, იყო ინდოეთის კონსტიტუცია (1950 წ.). ცოტა მოგვიანებით 1957 წელს შვეიცარიის კონფედერაციაში კულტურული მრავალფეროვნების არსსა და სტატუსზე გაჩნდა ტერმინი „მულტიკულტურალიზმი“.მან მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა 15-20 წლის შემდეგ კანადის პოლიტიკური პრაქტიკის საფუძველზე. 1971 წლის ოქტომბერში მულტიკულტურალიზმი გახდა კანადაში (პიერ ტრუდოს ხელმძღვანელობით) მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი და-

მახასიათებელი ნიშანი. იგი განხორციელდა ლოზუნგით ,,ერთი ერი, ორი ენა, მრავალი ხალხი და კულტურა".კანადა ითვლება „მულტიკულტურალიზმის" პოლიტიკის ნამდვილ სამშობლოდ, რადგან აქ ჩამოყალიბდა მისი ისეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპები, როგორიცაა:

- კულტურული პლურალიზმის სახელმწიფოს მიერ თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ნორმად აღიარება;

- ინდივიდებისა და ჯგუფებისთვის გარანტიების შექმნა, რათა მათ შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული იდენტობა და სპეციფიკა;

– კულტურული განსხვავებების საფუძველზე დისკრიმინაციის დაუშვებლობის გარანტიები; – ქსენოფობიისადმი შეუწყნარებლობა სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან (თერბორნ, 2001).

ექსპერტები მულტიკულტურალიზმის ამ ნაწილს ჯერ კიდევ უპირატესად დადებითად აფასებენ (Nasar Meer, Tariq Modood, Ricard Zapata-Barrero, 2016. M. Eckehart, 2017). თუმცა დროთა განმავლობაში გაირკვა, რომ უფლებათა დეკლარირებული თანასწორობა სრულადაც არ არის დაცული. აღსანიშნავია, რომ ეს პოლიტიკა ასახავდა (ზოგიერთ ქვეყნებში და ხშირ შემთხვევებში) უპირატესად უმცირესობების ინტერესებს და არა ეთნიკური უმრავლესობისა. კანადიდან ეთნიკური უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებული მულტიკულტურალიზმის იდეები შემდგომში იქცა ავსტრალიის სახელმწიფო პოლიტიკის ელემენტად. (2), (3)

1973 წელს ლეიბორისტულმა მთავრობამ შექმნა სამთავრობო ორგანიზაცია ავსტრალიის მულტიკულტურულ საქმეთა ინსტიტუტი (Australian Institute of Multicultural Affairs), რომელსაც დაევალა ავსტრალიაში „მულტიკულტურული საზოგადოების" ფორმირების კურსის განხორციელება (Verónica Benet-Martínez 2012). 1975 წელს შვედეთმა მიიღო კანონი უმცირესობების მხარდაჭერის შესახებ, რაც ამ ქვეყანაში მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის დასაწყისი გახდა (M. Eckehart, 2017). (4)

1976 წელს დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ამ პოლიტიკის ანტიდისკრიმინაციული კომპონენტი და შეიქმნა სპეციალური სამთავრობო ორგანიზაცია - რასობრივი თანასწორობის კომისია. 1983 წელს ნიდერლანდებმა მიიღო მულტიკულტურალიზმის ძირითადი იდეები და გამოხატა ისინი სახელმწიფო პროგრამაში „პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების მიმართ“ (ევროპული მულტიკულტურალიზმის ძირითადი პრობლემები, 2012). მისი მიზანი იყო მიგრაციის რეგულირება და მიგრანტების ინტეგრაცია. მულტიკულტურალიზმის პიონერებმა (ინდოეთი, შვეიცარია და კანადა) გამოიყენეს ეს კონცეფცია თავიანთი ქვეყნებში ხალხებს შორის ურთიერთობების დასარეგულირებლად (რომლებსაც ძირითადად ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ერთად ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდათ).

1980-1990 წლებში როგორც მკვლევრების, ისე პოლიტიკოსების ყურადღება, რომლებიც ეროვნებათშორისი ურთიერთობების პრობლემებს იკვლევენ, გადადის მიგრაციის პრობლემებსა და სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიის მიგრანტების მასპინძელ თემებში ინტეგრაციის სფეროზე. ახალი დრო და ახალი პირობები მოითხოვდა მრავალი ცნების და, უპირველეს ყოვლისა, მულტიკულტურალიზმის საკვანძო კონცეფციის - „ეთნიკური უმცირესობის“ ინტერპრეტაციების გადახედვას. უმცირესობების განსაკუთრებულ სტატუსზე ფოკუსირების ნაცვლად, იურიდიულ ნორმებში დაიწყეს მათი კანონიერი სრული უფლებებისა და მათი სტატუსის თანასწორობის ხაზგასმა უმრავლესობის წარმომადგენლებთან. ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური კუთვნილება ექსპერტების მიერ აღარ აღიქმებოდა, როგორც ინდივიდის ან ჯგუფის თანდაყოლილი თვისება, არამედ განისაზღვრა როგორც მოქალაქეების მიერ თავისუფლად არჩეული იდენტობები. უმცირესობათა უფლებები აღარ განიხილებოდა მხოლოდ როგორც სახელმწიფოს „კეთილი ნება“, არამედ განიხილებოდა საერთაშორისო ქარტიებში: ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია „კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ (1995). შემდეგ კი ევროპის საბჭოს ლუნდის რეკომენდაციები საზოგა-

დოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი (1999). თავად ევროკავშირის ქვეყნების მათთან (კონვენციებთან) შეერთების ფაქტმა განაპირობა ის, რომ მულტიკულტურალიზმის გარკვეული ნიშნები ამ ქვეყნებისთვის საერთო გახდა. (5), (6)

1990-იან წლებში მეცნიერებმა (ეკონომისტებმა) და პრაქტიკოსმა იურისტებმა მნიშვნელოვნად შეავსეს კულტურული მრავალფეროვნების მართვის სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკის ძირითად მახასიათებლები. მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სამოქალაქო თვითორგანიზაციის სფეროს გაფართოებამ. თავდაპირველად, ყველა ეს ტენდენცია ვლინდებოდა მხოლოდ მულტიკულტურალიზმის პარადიგმის საზღვრებში, რაც შემდგომში მეცნიერმა დანიელ ონილმა გააკრიტიკა (Daniel I. O'Neill 2015). (7)

ინტერკულტურალიზმის იდეაზე გადასვლა. 2000-იანი წლების მეორე ათწლეულის დასაწყისში (გლობალური კრიზისის შედეგად) პრობლემები საგრძნობლად გაღრმავდა. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურაში სიღრმისეული ცვლილებები დაიწყო. მსოფლიო ეკონომიკის ინოვაციური ტრანსფორმაციის პროცესი რთულად მიმდინარეობდა და დღეს ისევ გამწვავდა (უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ წამოწყებული ომის გამო). მოთხოვნა ნახშირბადის შემცველი ენერგო რესურსებიდან უსაფრთხო რესურსებზე გადასვლაზე აშშ-ს მხრიდან კატეგორიული ხასიათისაა. არგუმენტირებულია აუცილებლობა (კლიმატის ცვლილების გამო) რადიკალურად შემცირდეს ინტენსიური და ეკოლოგიურად მავნე მრეწველობა, სადაც არსებობს მოთხოვნა დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებზე. მცირდება მოთხოვნა არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაზეც (ძირითადად არაკვალიფიციურ მიგრანტებზე). ამავე დროს სწრაფად იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე ახალი ICT ტექნოლოგიების ცოდნაზე დაფუძნებულ ინტენსიურ წარმოებასა და მომსახურების სექტორში. ამ ცვლილებებმა განაპირობა

ის, რომ განვითარებულ დემოკრატიებში გამოცხადებული „ღია საზოგადოება“ ხშირად დახურული იყო დაბალკვალიფიციური მიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. ისინი რამდენიმე თაობის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ სოციალური და ქონებრივი „კიბეების“ ქვედა საფეხურებიდან ზემოთ ამოსვლას. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო (ნაკლებად გერმანიაში), მიგრანტები ძირითადად ცხოვრობენ ყველაზე ღარიბ უბნებში, სარგებლობენ ყველაზე ცუდი ჯანდაცვით და, რაც ყველაზე არასახარბიელოა, დაბალი ხარისხის განათლებით. ყოველივე ეს მათ სოციალურ ჩამორჩენილობას დიდი ხნით ახანგრძლივებს. (F Fay J. Hosking, Iain M. Carey, Sunil M. Shah, Tess Harris, Stephen De Wilde, Carole Beighton, and Derek G. Cook, 2016). (8)

ამავდროულად, იმავე ქვეყნებში ჩნდება მდიდარი უბნების „ოქროს გეტოები“, რომლებშიც მოსახლეობის ელიტარული სეგმენტები დისტანცირებულია „უბრალო ხალხის“ პრობლემებისგან. მიგრაციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც უმუშევარი მოსახლეობის წილი, ასევე სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები მის სოციალურ უზრუნველყოფაზე. ამ ყველაფერმა მკვეთრად გაზარდა საგადასახადო ტვირთი დასაქმებულ მოსახლეობაზე და გამოიწვია სოციალური უკმაყოფილების გაზრდა საზოგადოებაში. დიდწილად სწორედ ამ პროცესების შედეგი იყო, მულტიკულტურალიზმის პოზიციიდან ინტერკულტურალიზმის პლატფორმაზე გადასვლა.

დღეს უჩვეულოდ გაიზარდა სოციალური სეგრეგაციის დაძლევისა და ეროვნული სამოქალაქო სოლიდარობის სოციალური მოთხოვნილება, მათ შორის იმ ქვეყნებში, სადაც ის არსებობდა. ასე რომ, მულტიკულტურალიზმის მოდელის დანერგვის 30-40 წლიანმა მცდელობამ თითქმის ყველგან აჩვენა, რომ მიგრანტების მასპინძელ საზოგადოებაში ინტეგრაციის ნაცვლად (ამ პოლიტიკის მიზნად გამოცხადებული), მისი გავლენის ქვეშ ხშირად იზრდება საზოგადოების ეთნოცენტრიზმი, ეთნიკური და რელიგიური დიფერენციაცია.

უმცირესობათა სეგრეგაცია ვლინდება როგორც ნებაყო-

ფლობით, ისე იძულებით. მულტიკულტურალიზმი ქვეყნის დონეზე, შეიძლება გადაიზარდოს ხისტ სეგრეგაციაში ადგილობრივი თემების დონეზე. ასე რომ, ექსპერტთა საზოგადოებაში დაიწყო შედეგებზე დაფუძნებული მართვის (RBM - Results-based management) ალტერნატიული მოდელების ჩამოყალიბება და გამართლება. მათი არსი და მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მულტიკულტურალიზმის ძირითადი უპირატესობების შენარჩუნებისას (უმცირესობათა უფლებების დაცვა, კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული არჩევანის თავისუფლების გარანტია), მიმართონ სახელმწიფოს ძალისხმევას ნდობის, დიალოგისა და ურთიერთქმედების განსავითარებლად.

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ და ეთნოკულტურულ ჯგუფებში სამოქალაქო ერთობა სეგრეგაციის ნაცვლად - ამ იდეას საფუძველად უდევს ინტერკულტურალიზმის კონცეფცია. იგი წარმოიშვა კანადაში, სადაც 1970-იან წლებში პირველად განხორციელდა მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა (და სადაც ასევე უფრო ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში, გამოვლინდა მისი ნაკლოვანებები (Rosalia Condorelli 2018). (9)

ინტერკულტურალიზმი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი. მულტიკულტურალიზმის გავრცელებულმა კრიტიკამ ოდნავადაც არ შეამცირა ინტერესი კულტურული მრავალფეროვნების მართვის იდეისადმი. პირიქით, 2000-იანი წლებიდან სულ უფრო ცხადი ხდება, რომ როგორც კულტურული განსხვავებების აღიარება, ასევე სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა ჯგუფისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, არის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაზეა დამოკიდებული საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირება. ამგვარად, XXI საუკუნის დასაწყისიდან განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში ფეხს იკიდებს შედეგებზე დაფუძნებული მართვის RBM კონცეფცია. შედეგებზე დაფუძნებული მართვაBM იძლევა ახალ პერსპექტივას პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის არსზე. იგი აყალიბებს კავშირებს სხვადასხვა შემთხვევებსა და იმ საკითხებს შორის, რომლებიც თანდაყოლილია დღევანდელი რთული, მრავალფეროვანი

ეთნიკური და კულტურული სტრუქტურის მქონე საზოგადოებებში და ვლინდება როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ ურბანულ დონეზე. 2000-იანი წლების პირველი ათწლეულის ბოლოს RBM-ს თემა არა მხოლოდ დგას მსოფლიოს უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური დებატების დღის წესრიგში, არამედ იგი გახდა სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების მოქმედების საფუძველი. ამ დროისთვის, ევროკავშირის ქვეყნებსა და კანადაში შეიქმნა სპეციალური სამინისტროები, სამთავრობო დეპარტამენტები და კომისიები, რომლებიც წყვეტენ RBM-თან დაკავშირებულ საკითხებს.

RBM-ის ახალი ვერსია ეფუძნება „ინტერკულტურალიზმის" იდეებს, ხოლო მის საფუძველზე ჩამოყალიბებული პოლიტიკის ისტრუმენტებს წარმოადგენს:

- სოციალური ინტეგრაცია;
- კულტურათაშორისი ურთიერთქმედება;
- ჰორიზონტალური კავშირების განვითარება; და
- სამოქალაქო ჩართულობა.

ყველა მათგანი, ჩვენი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და კონკრეტულად უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პოლიტიკისადმი მიდგომების გასაუმჯობესებლად.

ინტერკულტურალიზმის იდეებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს ეტაპობრივ გადასვლას ეკონომიკური ინსტრუმენტების პრიორიტეტებიდან სოციალურ ღირებულებათა ინსტრუმენტების პრიორიტეტებზე (თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი). უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ დღეს მიმდინარე ძირეული ცვლილებები არა მარტო განვითარებული ქვეყნების მიერ უნდა ხორციელდებოდეს (იგულისხმება სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების მიზნების იერარქიის სტრუქტურაში ახალი ინტერკულტურალიზმის პარადიგმის საფუძველზე მიმდინარე ცვლილებათა განხორციელება). პარალელური პროცესები განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნებშიც უნდა (გა-

რდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები) მიმდინარეობდეს.

უფრო მეტიც, ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიური განვითარების პროცესი (ახალი ინტერკულტურული პარადიგმის მიდგომების საფუძველზე) უპირველეს ყოვლისა გულისხმობს არა უმცირესობათა ეკონომიკურ სუბსიდირებას სხვადასხვა ქვოტების მიკუთვნების ჩათვლით, არამედ ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან მიახლოვების ხელშეწყობას. ასევე, როგორც უმცირესობების ასევე უმრავლესობის წევრებს შორის არსებული საერთო ფასეულობების განვითარებისა და მახარდაჭერის პოლიტიკის რეალიზაციას, რაც, თავის მხრივ, შეარბილებს ეკონომიკურ ინტერესთა შორის კონფლიქტებს.

დასკვნა

ინტერკულტურალიზმის ცნებების (როგორც საბაზისო კატეგორიების) გარკვევისა და არსებული პრობლემების დეტალური ანალიზისთვის საქართველოს სახელმწიფომ და მუნიციპალიტეტებმა უნდა დაიწყონ აკადემიური ექსპერტების ჩართვა, რომლებიც რეგულარულად მოამზადებენ ანგარიშებს ამ საკითხებზე;

საქართველოში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა მრავალი აღმსარებლობის, ეთნიკური და კულტურული მახასიათებლების მქონეა. ამ მდგომარეობას ემატება უცხო ქვეყნებიდან შემოსული მიგრანტებიც, რომელთა შორის ბევრს საქართველოს მოქალაქეობა აქვს. თუ არ განხორციელდება ევროკავშირში მოქმედი პოლიტიკის პარალელურად საქართველოშიც შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, მაშინ ჩვენი სახელმწიფო გაცილებით დიდი რისკების წინაშე აღმოჩნდება;

ახალი პრობლემების რისკების დაზღვევის მთავარ მიმართულებებს (ინტერკულტურალიზმის მიდგომის საფუძველზე) უნდა წარმოადგენდეს:

- მიწაზე კერძო საკუთრების ჩამოყალიბების ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა;

- მიწის განაწილების, დასაკუთრებისა და ყიდვა-გაყიდვის პირობების სამართლიანი და უსაფრთხო სისტემის განვითარება;

- ეთნიკურ უმცირესობათა და მიგრანტების კულტურულ განვითარებაში საერთო პროგრესული ღირებულებების ტრენდების განვითარების ხელშეწყობა;

- საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვლევა ინკლუზიურობის მაჩვენებელთა საფუძველზე; და

- რეგიონებსა და ურბანულ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის - თემების უფლებებისა და კომპეტენციების გაფართოების სამართლებრივ-იურიდიული მექანიზმების შემუშავება (განსაკუთრებით დეველოპერული ბიზნესის, მიწის, სახელმწიფო უძრავი ქონების სხვა ობიექტების პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის საკითხებთან დაკავშირებით).

საქართველოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მიზნებისა და მათი მიღწევის ინსტრუმენტების ორიენტირება საერთო ღირებულებათა სისტემაზე ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტების პრევენციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ronald Inglehart 1977. The Silent Revolution: Changing Values and Political Styles Among Western Publics;

2. https://www.britannica.com/topic/postmaterialism#ref936153

3. Nasar Meer, Tariq Modood, Ricard Zapata-Barrero, 2016. A plural century: situating interculturalism and multiculturalism;

4. https://www.research.ed.ac.uk/en/publications/a-plural-century-situating-interculturalism-and-multiculturalism

5. M. Eckehart, 2017. How Sweden Became Multicultural Hardcover;

6. https://www.amazon.ca/How-Sweden-Became-Multicultural-Eckehart/dp/9188667154.

7. Verónica Benet-Martínez 2012. Multiculturalism: Cultural, Social, and Personality Processes. 24–648.

8. https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780195398991.013.0025

9. კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ

(1995); https://rm.coe.int/16800c130b

10. ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი (1999);

11. https://www.osce.org/files/f/documents/7/7/30331.pdf).

12. Daniel I. O'Neill 2015. Multicultural Liberals and the Rushdie Affair: A Critique of Kymlicka, Taylor, and Walzer. The Review of Politics, Volume 61, Issue 2, Spring 1999. Pp. 219 – 250;

13. DOI: https://doi.org/10.1017/S0034670500051986

14. Fay J. Hosking, Iain M. Carey, Sunil M. Shah, Tess Harris, Stephen De Wilde, Carole Beighton, and Derek G. Cook, 2016. Mortality Among Adults With Intellectual Disability in England: Comparisons With the General Population;

15. https://openaccess.sgul.ac.uk/id/eprint/107988/1/AJPH.2-016.303240.pdf

16. Rosalia Condorelli 2018. Cultural Differentiation and Social Integration in Complex Modern Societies Reflections on Cultural Diversity Management Strategies from a Sociological Point of View. Journal: Sociology Mind, Vol.8 No.4, September 5, 2018.

REFERENCES:

1. Ronald Inglehart 1977. The Silent Revolution: Changing Values and Political Styles Among Western Publics; https://www.britannica.com/topic/postmaterialism#ref936153

2. Nasar Meer, Tariq Modood, Ricard Zapata-Barrero, 2016. A plural century: situating interculturalism and multiculturalism; https://www.research.ed.ac.uk/en/publications/a-plural-century-situating-interculturalism-and-multiculturalism

3. M. Eckehart, 2017. How Sweden Became Multicultural Hardcover; https://www.amazon.ca/How-Sweden-Became-Multicultural-Eckehart/dp/9188667154

4. Verónica Benet-Martínez 2012. Multiculturalism: Cultural, Social, and Personality Processes. Pp. 624–648. https://doi.org/10.1093/oxfordhb/9780195398991.013.0025

5. Convention on the Protection of National Minorities (1995) in Georgian Language; https://rm.coe.int/16800c130b

6. Lund's recommendations in the national public-political life regarding active participation of minorities and explanatory card (1999) in Georgian language; https://www.osce.org/files/f/documents/7/7/30331.pdf

7. Daniel I. O'Neill 2015. Multicultural Liberals and the Rushdie Affair: A Critique of Kymlicka, Taylor, and Walzer. The Review of Politics, Volume 61, Issue 2, Spring 1999. Pp. 219 – 250;

8. DOI: https://doi.org/10.1017/S0034670500051986

9. Fay J. Hosking, Iain M. Carey, Sunil M. Shah, Tess Harris, Stephen De Wilde, Carole Beighton, and Derek G. Cook, 2016. Mortality Among Adults With Intellectual Disability in England: Comparisons With the General Population;

10. https://openaccess.sgul.ac.uk/id/eprint/107988/1/AJPH.2016.303240.pdf

11. Rosalia Condorelli 2018. Cultural Differentiation and Social Integration in Complex Modern Societies Reflections on Cultural Diversity Management Strategies from a Sociological Point of View. Journal: Sociology Mind, Vol.8 No.4, September 5, 2018;

MULTICULTURALISM AND INTERCULTURALISM AS THE BASIS OF SOCIAL VALUES AND ECONOMIC POLICY

Elene Bregvadze
PhD Student of GTU
E-mail: elene1981@yahoo.com

RESUME

When studying the effectiveness of the real estate market development policy, we share the opinion of scientists on the need to move from the position of multiculturalism to the position of interculturalism.

The purpose of the article is to discuss and analyze the ideas of multiculturalism and interculturalism, which are based on the formation of identity within the boundaries of a single political space (state, region or city). The expansion and development of the sphere of civil self-organization are considered as the main features of the state and municipal policy of managing cultural diversity, which have acquired special significance. Initially, all these trends were considered only within the framework of the multiculturalism paradigm, which was subsequently criticized by scholar Daniel O'Neill and other scholars. The study focuses on the concept of results-based management, which provides a new perspective in the field of political and economic management, as well as the basis for the functioning of various state and public structures in developed countries.

The approach based on the ideas of interculturalism discussed in the article implies a transition from the priorities of economic instruments to the priorities of social value instruments. In the process of sustainable and inclusive development of the country, in exchange for economic subsidies to minorities (including the appointment of various quotas), they provide encouragement for adherence to basic social values. The opinion is expressed that the implementation of the policy of development and support of social values between representatives of minorities and the majority will reduce the conflict of economic interests.

Key words: multiculturalism, interculturalism, real estate market development policy, economic policy, basic public values.